ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №66

აბაშა, 2023 წლის 5 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სს „სილქნეტი"-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის, 24-ე მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" და 2023 წლის 3 ნოემბრის სს „სილქნეტის" საოპერაციო მიმართულების დირექტორის №894/14-6 წერილის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, მისცეს სს „სილქნეტი"-ს (ს/ნ204566978), მისი საოპერაციო მიმართულების დირექტორის მინდობილი პირი დავით ჩაფიძის (პ/ნ41001030648) სახით (შემდგომში „მოიჯარე") აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე: ქ. აბაშა, თავისუფლების ქუჩა №4-ის მიმდებარედ 1 (ერთი) ცალი გარე-განათების ბოძის კონსტრუქციაზე საჰაერო გზით კაბელის გაყვანის უფლება.

2. იჯარის ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 2.50 (ორლარნახევარი) ლარით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია